

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი

17 დეკემბერი 2010 წელი

გადაწყვეტილება № 4

სსიპ - ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სსიპ - ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის დებულება თანახმად დანართისა
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივდეს მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4) ;
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე

წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერი:

თამილა მეიშვილი

დანართი

სსიპ - ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის დებულება

მუხლი I. დებულების რეგულირების სფერო.

ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის თვითდაფინანსებადი სტრუქტურული ერთეულის - აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის (შემდგომში ცენტრი) სტრუქტურას, მიზნებსა და ამოცანებს, აწესრიგებს ცენტრის სასწავლო-საგანმანათლებლო და მეთოდოლოგიური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ასევე ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი II. ცენტრის უფლებამოსილება.

ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, წინამდებარე დებულებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

მუხლი III. ცენტრის მიზნები და ამოცანები, საქმიანობის სფერო და ძირითადი მიმართულებანი.

1. ცენტრის ძირითადი მიზანია ეროვნული სასწავლო გეგმისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების საგნობრივი პროგრამების შესაბამისად აბიტურიენტების მომზადება შემოქმედებითი ტურებისათვის.

2. ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში მისი მომსახურებით სარგებლობენ აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, კოლეჯების, პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეები, სტუდენტები, საქართველოს სხვა მოქალაქეები ან უცხოელები, რომელთაც სურთ ცოდნის (კვალიფიკაციის) ამაღლება რომელიმე კონკრეტულ საგანსა და თუ ცოდნის რომელიმე სფეროში.

3. ცენტრი უზრუნველყოფს სათანადო კონტაქტებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო სტრუქტურებთან, შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებს სასწავლო-მეთოდოლოგიურ, საკონსულტაციო, საქველმოქმედო საქმიანობას რაიონების, მაღალმთიანი რეგიონების სკოლებსა თუ სხვა სასწავლო დაწესებულებებისათვის, სოციალურად დაუცველი ფენებისათვის და სხვა.

4. თავისი საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ცენტრი გამოსცემს ბუკლეტებს, ამზადებს სარეკლამო რგოლებს, ატარებს კონსულტაციებს და ეწევა სხვა სარეკლამო საქმიანობას.

მუხლი IV. ჯგუფების ორგანიზება.

აბიტურიენტთა მოსამზადებელ ცენტრში შეიძლება ჩამოყალიბდეს რამდენიმე ტიპის საგნობრივი ჯგუფი. კერძოდ:

1. მსახიობის ოსტატობა;
2. სასცენო მეტყველება;
3. დრამის რეჟისურა;
4. კინო-ტელე რეჟისურა;
5. ხატვა;

საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შედგეს ინდივიდუალური ჯგუფები, რომლისათვისაც შემუშავებული იქნება სპეციალური პროგრამა. ასეთ შემთხვევაში შემუშავებული იქნება სპეციალური გეგმა დატვირთვის შესაბამისი მოცულობით და ინდივიდუალური გრაფიკით.

თუ აბიტურიენტი ან აბიტურიენტების ჯგუფი მოითხოვს მოცემული სტანდარტებიდან განსხვავებულ დატვირთვას და მუშაობის გრაფიკს, ცენტრი ტარიფებს და გრაფიკს შეიმუშავებს კონკრეტული მოთხოვნებიდან გამომდინარე და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურებს.

მუხლი V. ცენტრში აბიტურიენტთა ჩარიცხვა, ჯგუფების და სასწავლო პროცესის ორგანიზება და მსმენელის სტატუსის შეწყვეტა.

1. აბიტურიენტს უფლება აქვს მოემზადოს ერთ ან რამდენიმე საგანში. მოსამზადებლად შერჩეულ საგნებს მიუთითებს ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებაშივე მითითებულია სწავლის ქირის რაოდენობა და გადახდის გრაფიკი.

2. ცენტრში აბიტურიენტის ან სხვა მსმენელის ჩარიცხვა ხდება ხელშეკრულების და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

3. ცენტრში ცალკეული საგნობრივი ჯგუფების ჩამოყალიბება, ჯგუფში ჩარიცხვა, ჯგუფიდან ამორიცხვა, ჯგუფიდან ჯგუფში გადაყვანა ხდება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ცენტრის კოორდინატორის მოხსენებითი ბარათის შესაბამისად.

4. ცენტრი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას აბიტურიენტებისა თუ სხვა მსმენელთათვის; კონკრეტული მოთხოვნებიდან გამომდინარე უნივერსიტეტი შესაბამის სტრუქტურებს წარუდგენს ხარჯთაღრიცხვას, აყალიბებს სასწავლო ჯგუფებს ან აწესებს სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკს, განსაზღვრავს სასწავლო პროცესის, საწვრთნელო პროცესის, საწვრთნელო უ საკონტროლო ტესტირებებისათვის (საჭიროების შემთხვევაში - გამოცდებისათვის) აუცილებელი საათების რაოდენობას, უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტიდან (აუცილებლობის შემთხვევაში-სხვა დაწესებულებებიდან) იწვევს სპეციალისტებს კონკრეტულ ჯგუფებში სამუშაოდ, ადგენს გაკვეთილების, საკონტროლო ტესტირებების ცხრილებს, ახორციელებს სასწავლო პროცესის სრულყოფილად ორგანიზებისათვის საჭირო სხვა საქმიანობას.

5. უცხო ქვეყნის მოქალაქე რომელსაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხვის მიზნით უნივერსიტეტის აბიტურიენტთა მოსამზადებელ ცენტრში შესაბამისი მოსამზადებელი კურსების გავლის სურვილი გააჩნია, წარმოადგენს შემდეგი დოკუმენტების ნუსხას:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის ან მოქალაქეობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტის ასლი, მოქალაქეობის არქონ პირთათვის-ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან ან დამადასტურებელი დოკუმენტი, მოწმობა).

ბ) უცხო ქვეყანაში გაცემული სრული, ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ორი ასლი (ატესტატი, სერთიფიკატი და ა. შ.).

გ) ოთხი ცალი ფოტოსურათი 3X4.

6. მოსამზადებელი ცენტრის მსმენელის სტატუსის შეყვების საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) აბიტურიენტის და მისი მშობელის (მეურვის) განცხადება;

ბ) სწავლის საფასურის გადაუხდელობა ან ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების დარღვევა;

გ) მეცადინეობებზე გამოუცხადებლობა და დიდი რაოდენობით გაცდენები (50% და მეტი);

დ) ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების უხეში დარღვევა (სამართალდარღვევა ან დისციპლინარული გადაცდომა, რაც უნივერსიტეტის შინაგანაწესის თანახმად არის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი).

მუხლი VI. მასწავლებელი.

1. ცალკეულ საგანში მასწავლებლის შერჩევა ხდება მასწავლებლის აბიტურიენტთან მუშაობის გამოცდილების და პირადი კომპეტენციის გათვალისწინებით უნივერსიტეტის შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე (აუცილებლობის შემთხვევაში დასშვებია მასწავლებლის მოწვევის სხვა დაწესებულებებიდან).

2. ცენტრის კოორდინატორი წარუდგენს რექტორს მოხსენებით ბარათს ცალკეულ საგნებში მასწავლებელთა მოწვევის შესახებ. მასწავლებლის მოწვევა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების.

3. მოწვეული მასწავლებლებისათვის განისაზღვრება საათების რაოდენობა ცალკეული საგნებისათვის. ცენტრის კოორდინატორი ავსებს სპეციალურ ფორმას, რომელშიც მოცემულია კონკრეტულ საგანში განსაზღვრული საათების რაოდენობა, ასევე საათების რაოდენობა თითოეული თვისათვის. მასწავლებელი ვალდებულია თავისი საქმიანობა წარმართოს სასწავლო ცხრილის და ზემოხსენებული განრიგის, აგრეთვე გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი პროგრამის საფუძველზე.

4. ცენტრის კოორდინატორი ყოველთვიურად წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მოხსენებით ბარათს ცალკეული მასწავლებლის მიერ შესრულებული საათების რაოდენობის შესახებ. მასწავლებლის ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით კოორდინატორის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი VII. ცენტრის სტრუქტურა.

1. ცენტრს ხელმძღვანელობს კოორდინატორი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

2. ცენტრის სტრუქტურა და მართვის პრინციპები განისაზღვრება მისი საქმიანობის ეფექტურობისა და შემოსავლების ზრდის ინტერესების შესაბამისად.

მუხლი VIII. ცენტრის დაფინანსება და ბიუჯეტი.

1. ცენტრი თვითდაფინანსებაზე მყოფი სტრუქტურული ერთეულია. შესაბამისად მისი დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური, რომელსაც იხდიან აბიტურიენტები და ცენტრის სხვა მსმენელები;

ბ) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო გრანტით;

გ) კერძო გრანტის ან შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავლები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

2. მოსამზადებელი პროგრამების და სასწავლო აკადემიური საათების საფასურს ცენტრი ადგენს თავისუფალი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად და მას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

3. ცენტრის ხარჯთაღრიცხვას ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საფინანსო - ეკონომიკურ სამსახურთან შეთანხმებით ადგენს ცენტრის კოორდინატორი და ამტკიცებს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსი.